პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1926 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1988 ᲬᲔᲚᲘ ● № 33 (3061) ● СУББОТА, 13 АВГУСТА 1988 г.

## Милицейские комиссары

**ЭФФЕКТИВНО** перестроить деятельность органов внутренних дел невозможно без четкого определения роли, места и задач в этом деле политических работников. Это еще раз подчеркивалось 6 августа на Всесоюзном совещании работников политорганов МВД СССР.

В докладе начальника Политуправления МВД СССР генерал-лейтенанта внутренней службы А. В. Аникиева отмечалась, что в центре внимания политработников должен быть человек, милиционер, наделенный правом выступать от имени власти. Сотрудник органов внутренних дел должен научиться успешно решать задачи в условиях последовательного расширения гласности и демократии, освободиться от стереотипов, выработать новые политические и профессиональные качества. Непременным условием эффективности в деятельности органов МВД в борьбе с преступностью является всестороннее укрепление сотрудничества с общественностью.

На совещании отмечалось, что, с целью расширения гласности работы милиции, необходимо укреплять сотрудничество с прессой, стремиться к открытому обсуждению стоящих перед органами задач.

Политорганы должны решительно сменить акцент в своей деятельности с контрольных функций в сторону практической организации дела, перевести партийно-политическую работу непосредственно на места несения службы. Это, естественно, требует глубокого знания проблем, особенностей работы различных подразделений, их трудностей.

## 7 АВГУСТА ОТМЕЧАЛСЯ ДЕНЬ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНИКА



რკინიგზელთა დღე პირველად 52 წლის წინათ აღინიშნა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რკინიგზების ქსელი ორჯერ გაიზარდა და ახლა 150 ათას კმ-ზე მეტს შეადგენს.

რკინიგზის მაგისტრალებზე სამართალდარღვევათა უოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ იბრძვიან შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებები, რომელთა თანამშრომლები დაყვებიან მატარებელს, წესრიგს იცავენ დიდი თუ პატარა ქალაქების რკინიგზის სადგურებში.

მიმდინარე წლის პირველი ნახევარი საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს სადგურ თბილისის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების (უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. აბალაია) თანამშრომლებმა. სოციალისტური საკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით გაცილებით იმატა გამოვლინებათა რიცხვმა, მათ შორის 45 პროცენტით მეტი მძიმე სახის დანაშაულის ფაქტებმა. ამოიღეს 739 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი, აღიძრა 6 სისხლის სამართლის საქმე, სხვადასხვა სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებულია 16 პიროვნება.



**СЛОЖНЫЕ** и ответственные задачи выполняют сотрудники отдела охраны общественного порядка Грузинского управления внутренних дел на транспорте. Службу здесь с полным основанием можно назвать передним краем трудной, а порой и опасной работы сотрудников транспортной милиции.

—Нашей обязанностью является выполнение самых различных задач по охране общественного порядка, — говорит командир строевого подразделения старший сержант милиции Бежан Путкарадзе,—тут и борьба с пьянством, спекуляцией, мошенничеством, воровством и другими правонарушениями. И это далеко не полный перечень того, чем занимаются ежедневно наши сотрудники. Специфика работы состоит в том, что действовать почти всегда приходится в сложной обстановке, по «горячим следам»...

Не так давно сотруднику ЛОВД на станции Батуми Б. Путкарадзе пришлось в очередной раз на деле проявить свое профессиональное мастерство, благодаря чему была задержана группа спекулянтов. А было это так. Б. Путкарадзе сопровождал поезд Москва — Цхалтубо. Несколько раз прошелся по поезду и заметил, что два пассажира проявляют беспокойство при встрече с ним. Б. Путкарадзе удалось найти возможность незаметно проследить за действиями подозрительных пассажиров. А еще через некоторое время в присутствии понятых он попросил их открыть чемоданы, которые оказались забитыми дефицитными товарами, предназначенными явно для перепродажи. Это подтвердилось при дальнейшем расследовании. Примерно так же Б. Путкарадзе задержал группу торговцев наркотиками.

Уже десять лет добросовестно несет службу на своем посту старший сержант милиции Б. Путкарадзе. Он отличник милиции, за успехи в службе награжден многочисленными грамотами руководства.

## მივუდგეთ საქმეს ახლებურად

**ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ** ტემპი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს სისტემაში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ წლების განმავლობაში სამმართველო განიცდის კარგად მომზადებული, სინდისიერი, ენერგიული ხელმძღვანელი კადრების ნაკლებობას. ხშირია სისტემის თანამშრომელთა მხრიდან კანონიერების დარღვევის ფაქტები. შეშფოთებას იწვევს, როდესაც თვით ისინი, ვისაც მსჯავრდადებულის გამოსწორება ევალება, თავად სჩადიან დანაშაულს — ასეთი შეფასება წითელ ხაზად გასდევს საქართველოს შს სამინისტროს კოლეგიისა და პოლიტგანყოფილების წერილს, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის შს სამინისტროს შრომა-გასწორების სამმართველოს სისტემის კომუნისტებისადმი, კომკავშირელებისადმი და ყველა თანამშრომლებისადმი.

ეს წერილი გახდა განხილვის საგანი სამმართველოს ყველა შრომა-გასწორებით დაწესებულებაში. რა გვიშლის ხელს ნაკლოვანებების გამოსწორებაში? როგორ ავლკვეთოთ იგი?

შრომა-გასწორებით დაწესებულებაში, რომლის უფროსია შ/ს პოდპოლკოვნიკი ჯ. ზაწაშვილი, გამართული ღია პარტიულ-კომკავშირული კრება საკუთარი საქმიანობის თვითკრიტიკული შეფასებით, სამმართველოს ხელმძღვანელობის (კერძოდ, უფროსის, პოლკოვნიკ გ. ხოჯავას) მხრიდან პრინციპული კრიტიკის, ჯანსაღი კამათის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და რამდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს — იგი კრების სათანადო მოუმზადებლობამ განაპირობა. დიახ, სწორედ მოუმზადებლობამ, რადგან დაირღვა ფორმალიზმი, სიტყვებისათვის გამზადებული სტერეოტიპული ფორმები და კამათს ცოცხალი, კონკრეტული ხასიათი მიეცა, ისეთი როგორიც უნდა იყოს.

— ფორმალიზმი ჩვენს საქმიანობაში უნდა აღიკვეთოს — აღნიშნა სამმართველოს უფროსმა, — მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი კრება მაგალითისთვის ივარგებს. მართალია ჩვენი სამინისტროს კოლეგიისა და პოლიტგანყოფილების წერილი მათ დიდი ხნის მიღებული არ ჰქონდათ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებთ მათ სათანადოდ მომზადებულები რომ არ იყვნენ, მომზადება — „საკრებო სტერეოტიპების" შეთხზვას კი არ ნიშნავს, არამედ საქმიან, პირუთვნელ კამათს კონკრეტული მისამართებით, ეს კრება დასტურია იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ მუშაობა დროის მოთხოვნების შესაბამისად.

ნიშანდობლივია, რომ დაწესებულების ღია კრების კამათში გამოსულთა ზოგიერთ აზრს, რომელსაც მოკლედ გავაცნობთ, კრიტიკული, საქმიანი ტონი გარკვეულწილად თვით პოლკოვნიკ გ. ხოჯავას მკაცრმა კომენტარებმა განაპირობა:

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ-ᲖᲔ).

### ქალაქკომის მდივნის ტრიბუნა

**ᲩᲕᲔᲜᲡ** ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის დაჩქარების და საჯაროობის პროცესმა შს ორგანოები მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტის წინაშე დააყენა. ზოგიერთი მათგანის პრაქტიკულად რეალიზების მდგომარეობის, ადგილზე არსებული ვითარების ახსნის და საქალაქო განყოფილების ახლო მომავლის ამოცანების განსაზღვრის მიზნით რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲔᲠᲐᲘᲐᲡ.

## პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი

— პატივცემულო პეტრე, დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე როგორ აფასებს პარტიის ქალაქკომი შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობას?

**ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** წლის განვლილ პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე სამჯერ იქნა მოსმენილი შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობის საკითხი, კერძოდ — საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებლების და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, შინაგან საქმეთა განყოფილებაში მომხდარი კანონიერების დარღვევის ფაქტის შესახებ და ქალაქში პროსტიტუციისა და სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის საქმეში არსებული მდგომარეობის თაობაზე ადრე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დაგეგმილია წლის ბოლომდე უბნის ინსპექტორების მუშაობის ორგანიზაციის საკითხში განყოფილების უფროსის ანგარიშის მოსმენა.

უკანასკნელ ხანს გარკვეული დადებითი ძვრებია შინაგან საქმეთა განყოფილების საქმიანობაში, ტარდება პრაქტიკული ღონისძიებები წინა წლებში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების დასაძლევად. შინაგან საქმეთა განყოფილება გაიწმინდა არაკომპეტენტური, უღირსი, პროფესიულად და მორალურად გამოუსადეგარი ადამიანებისაგან. განსაკუთრებული ზომებია მიღებული სწორი საკადრო პოლიტიკის გარდაქმნის მიზნით. გატარებულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო.

**— თქვენ ახსენეთ განყოფილებაში მომხდარი კანონიერების დარღვევის ფაქტის შესახებ...**

შინაგან საქმეთა განყოფილებაში ადგილი ჰქონდა კანონიერებისა და პროცესუალური ნორმების

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ-ᲖᲔ)

(დასასრული)

უხეშად დარღვევის, უკონტროლობის, უპასუხისმგებლობისა და თვითნებობის ფაქტებს, რასაც შედეგად მოჰყვა საგანგებო შემთხვევა ადამიანის მსხვერპლით. 1987 წლის 25 დეკემბერს სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების მუშაკებმა გამოიჩინეს დაუდევრობა და წინდაუხედაობა, უხეშად დაარღვიეს სოციალისტური კანონიერება, მოქალაქეთა დაკავებისა და წარმოდგენის წესები, სამორიგეო ნაწილის გვერდის ავლით მოიყვანეს შინაგან საქმეთა განყოფილებაში დაკავებული პირი, მოათავსეს იგი საამისოდ მოუწყობელ ოთახში, მიატოვეს უმეთვალყურეოდ ისე, რომ არ გააფრთხილეს ამის შესახებ სამორიგეო ნაწილი. ლამით, დაკავებულმა პირმა თავი ჩამოიხრჩო ფანჯრის გისოსებზე. აღნიშნულ ფაქტზე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის იანვარში და შინაგან საქმეთა განყოფილების პარტიული ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიერ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, პირად შემადგენლობაში დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და გაატარა ორგანიზაციული ღონისძიებები — თანამდებობიდან განთავისუფლდა განყოფილების უფროსი, ორგანოებიდან იქნა დათხოვნილი 2 თანამშრომელი, რვას დაედო სხვადასხვა სახის სასჯელი.

მშრომლობაზე სამართალდამცავ ორგანოებთან. სახალხო რაზმელთა მუშაობა ჯამდება სამართალდამცველი ორგანოების მუშა ჯგუფის სხდომაზე, რომელიც ტარდება თვეში ორჯერ.

რაც შეეხება მართლწესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტების მუშაობას, ქალაქი პირობითად დაყოფილია 3 ოპერატიულ ზონად, თითოეულზე მიმაგრებულია შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილეები საკურატორო სამსახურებით. ოპერატიულ ზონაში შექმნილია თითო მართლწესრიგის საყრდენი პუნქტი. ასეთი განაწილება ხელს უწყობს მოსალოდნელ დანაშაულობათა აღკვეთას, დარღვევებზე დროულ რეაგირებას, სამართალდამრღვევ ელემენტებთან ინდივიდუალურ პროფილაქტიკურ მუშაობაში უბნის აქტივის ჩაბმას, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა მკვეთრ გააქტიურებას მოითხოვს.

**— როგორ ხორციელდება განყოფილებაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა?**

შინაგან საქმეთა ფოთის საქალაქო განყოფილების პოლიტიკური სამსახური გარკვეულ მუშაობას ეწევა პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ პერიოდში დასახული გაზრდილი ამოცანების შესასრულებლად, ქალაქში მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ეფექტიანობის გაზრდის საქმეში კომუნისტების, კომკავშირელების, ხელმძღვანელი კადრების და უპა-

# პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი



**— რა პრაქტიკული ღონისძიებები ტარდება მოსახლეობაში შს ორგანოების მუშაობის საჯაროობის მიზნით?**

დღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მილიციის მუშაკების შეხვედრას შრომით კოლექტივებთან, მოსახლეობასთან. სამართლებრივი აღზრდის დეკადები ტარდება სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში. ტრადიციულად უბნის ინსპექტორები, ცალკეული ქვედანაყოფები კვარტლის, ნახევარი წლისა და წლის შედეგებით ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას, შრომით კოლექტივებს. პრაქტიკაშია დანერგილი განსაკუთრებული რეზონანსის მქონე სასამართლო პროცესების ვიდეოფირზე აღბეჭდვა, მისი დემონსტრირება და განხილვა სასწავლო დაწესებულებებში და საწარმოებში, მათში აქტიურად მონაწილეობენ განყოფილების თანამშრომლები. ასე გახდეს, მაგალითად, საჯარო მსჯელობის საგნად ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებლის ვ. ნანავას მოქმედება. პრაქტიკაშია საქალაქო გაზეთში განყოფილების გვერდის გამოშვება.

ასევე პრაქტიკაშია დანერგილი შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელთა ანგარიშების ჩაბარება იმ კოლექტივებში, რომლებმაც რეკომენდაცია გაუწიეს მათ შს ორგანოებში სამუშაოდ. მაგალითად, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსმა ზ. ღლონტმა ანგარიში ჩააბარა პარტიის საქალაქო კომიტეტის აპარატის პირველად პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც მისცა მას რეკომენდაცია.

**— როგორია საზოგადოების და შინაგან საქმეთა განყოფილების პრაქტიკული ურთიერთობა — სახალხო რაზმელების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტების მუშაობა?**

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ შინაგან საქმეთა განყოფილება ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავის საქმიანობაში აქტიურად ჩააბას საზოგადოების ფართო წრე, იმოქმედოს საზოგადოებასთან ერთად დანაშაულის აღსაკვეთად. განყოფილების მუშაკების ერთგული თანაშემწე არიან სახალხო რაზმელები, რომელთა მუშაობა ბოლო პერიოდში საკმაოდ გაუმჯობესდა და წამოიწია წინა პლანზე. პარტიის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოველდღიურად ინფორმირებულია სახალხო რაზმელთა თანა-

რტიოების პასუხისმგებლობის შემდგომ ასამაღლებლად.

პერიოდულად იხილება ცალკეული სამსახურის მუშაობის გაუმჯობესება და დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები. პრაქტიკაში დანერგილია მინდობილ უბანზე საწესდებო მოთხოვნათა შესაბამისად კომუნისტების, ხელმძღვანელი მუშაკების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა, შემდგომში მათი პარტიული დახასიათების დამტკიცებით.

განმტკიცდა განყოფილების პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 61 კომუნისტს. გაუმჯობესდა კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა განაწილების საქმე, მათი უნარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეირჩა მუდმივი და ერთდროული დავალებები. ამასთან, დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, განყოფილების პოლიტსამსახურმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარდაქმნა პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა კომუნისტების მიმართ მომთხოვნელობის გასაძლიერებლად, მათი პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რის გამოც მიმდინარე წელს განყოფილების 8 მუშაკს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი.

**— განყოფილებაში არსებული ვითარების, ქალაქის სპეციფიკის და შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის გათვალისწინებით, მუშაობის რომელ კონკრეტულ უბნებზე ამახვილებს პარტიის ქალაქკომი განყოფილების სამსახურების განსაკუთრებულ ყურადღებას?**

ინდივიდუალური მუშაობა ორგანოს თანამშრომლებთან, მათი ყოველდღიურობით ჯეროვანი დაინტერესება — აი, ასე უკონკრეტებს, პარტიის საქალაქო კომიტეტი ამოცანას შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პარტიულ ორგანიზაციას. ვფიქრობ, ამ ამოცანის განხორციელება სასურველ შედეგს გამოიღებს.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, მეტია გასაკეთებელი სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების მუშაობის დასახვეწად. გასააქტიურებელია ბრძოლა ე. წ. „კანონიერ ქურდებთან", ბრაკონიერებთან, მექრთამეებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ფოთი საზღვაო ქალაქია, გასაძლიერებელია მუშაობა სავალუტო-სასპეკულაციო ოპერაციების, პროსტიტუციის წინააღმდეგ.

**ინტერვიუ მოამზადა ა. კობალაძემ.**

ФОТОРЕПОРТАЖ









## ИДУТ ВСТУПИТЕЛЬНЫЕ ЭКЗАМЕНЫ

ВНОВЬ наступила горячая пора на ТФМВШМ МВД СССР — идут вступительные экзамены.

Квалифицированная приемная комиссия, в состав которой входят сотрудники органов внутренних дел, опытные преподаватели факультета, научные сотрудники ряда высших учебных заведений республики внимательно отбирает по результатам конкурсных испытаний лучших среди посланцев органов и подразделений ОВД, представляющих все области и регионы Грузии, ее многонациональное население. Руководство факультета прилагает большие усилия для того, чтобы экзамены в нынешнем году проходили в обстановке широкой гласности, а оценка способностей абитуриентов была максимально объективной. На экзаменах присутствует представитель МВД СССР — старший инструктор политотдела МВШМ МВД СССР подполковник милиции Р. А. Козлов.

На XIX Всесоюзной партконференции было еще раз подчёркнуто, сколь значительную роль в условиях перестройки играет повышение культуры и профессиональной грамотности сотрудников органов внутренних дел, которые должны сочетаться с активной гражданской позицией, мужеством и неподкупностью при выполнении сотрудниками милиции своих служебных обязанностей. Именно соответствие этим качествам является сегодня определяющим критерием отбора абитуриентов на ТФМВШМ МВД СССР.

Фото и текст
Г. МГАЛОБЛИШВИЛИ

НА СНИМКАХ: 1. Перед началом экзаменов. 2. Идет письменный экзамен. 3. Устный экзамен по грузинскому языку и литературе у абитуриента (бывшего воина-интернационалиста, награжденного медалью «За отвагу») милиционера подразделения ППС Калининского РОВД г. Тбилиси А. Алиева принимают ученый секретарь Грузинского фонда культуры Ц. Джалиашвили и профессор, полковник милиции П. Хвичия. 4. Доцент ТГУ М. Чхиквадзе и бывший воин-интернационалист, кавалер ордена «Красной Звезды» и медалей «За отвагу», сотрудник Цхинвальского ГОВД старшина милиции Г. Кочиев во время экзамена.

# მივუდგეთ საქმეს ახლებურად

(დასასრული).

...საგრძნობლად შემცირდა სპეცკონტიგენტის რაოდენობა, მოსალოდნელია კიდევ შემცირდება, რამაც თვითდამშვიდება გამოიწვია, შესუსტდა კონტროლი, ირღვევა საყარაულო რეჟიმი და განაწესი, შედეგიც ვიწვნიეთ — მოხდა ინციდენტი. ადგილი აქვს თანამშრომელთა მხრიდან სპეცკონტიგენტთან აკრძალულ კავშირს...

...გვაქვს წინადადება გაერთიანდეს რეჟიმისა და ოპერატიულ დარგში მოადგილეები, დაწესდეს მორიგეობის გამართული გრაფიკი.

...გარდაქმნა დიდ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს, ამას ყველა ჩვენი თანამშრომელი როდი გრძნობს, ჯერ კიდევ აქვს ადგილი სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევას. მთავარია საქმისადმი კრიტიკული მიდგომა, დაწესებულების პარტიულ ორგანიზაციას მეტი მუშაობის გაწევა მართებს. უნდა ამაღლდეს თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა...

...დაწესებულების პარტიულები და კომკავშირელები არასაკმარის იდეურ აღმზრდელობით მუშაობას აწარმოებენ ახალგაზრდა თანამშრომლების მიმართ, სუსტად საქმიანობს სამეურნეო-საექსპლუატაციო ნაწილიც...

...საკმარისი არ არის სპეცკონტიგენტის მომსახურებისათვის სამედიცინო პერსონალის შტატი, აგრეთვე მედიკამენტები. ჩვენი სისტემის მუშაობას სრულყოფა სჭირდება, ახალი აზროვნება საქმისადმი ახლებურად მიდგომას ითხოვს...

...რა თქმა უნდა გარკვეული წარმატებებიც გვაქვს. დავაწინაურეთ ადგილობრივი კადრები, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა...

...ეს წერილი სოლიდური დოკუმენტია და ნათლად გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა წარვმართოთ მუშაობა... — აი ასეთი იყო კრებაზე კამათში გამოსულთა შეხედულებები. დაასახელეს კრიტიკის კონკრეტული მისამართებიც.

კრებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა გ. ხოჯავა. ხოლო ორიოდე დღის შემდეგ გაიმართა შს სამინისტროს შრომა-გასწორებით დაწესებულებათა სამმართველოს ცენტრალური აპარატის პარტიულ-კომკავშირული კრება, რომლის შესახებაც მასალას ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ვ. ნადირაძე

НА ЛИНИИ

СУХУМИ

# СТИХИИ НАПЕРЕКОР

**В НОЧЬ на 31 июля стихийное бедствие обрушилось на ряд районов Абхазской АССР. Разбушевавшиеся реки — Гумиста, Келасури, Дешлети вышли из берегов и затопили несколько окрестных сел. В воде оказались первые этажи индивидуальных жилых домов, животноводческие фермы, различные постройки и кукурузные поля.**

**Среди тех, кто противопоставил буйству стихии свою волю и мужество, активно участвовал в ликвидации последствий наводнения, были и сотрудники милиции, — сообщил нам в беседе по телефону заместитель начальника Сухумского РОВД по политической части майор милиции Д. Пачулия.**

**Ночью, сразу по получении известия о бедствии, весь личный состав отдела был поднят по тревоге. После краткой постановки задачи было образовано несколько групп для оказания помощи населению.**

**Смело и решительно действовали сотрудники милиции участковые инспектора майор милиции Б. Жвания, капитан милиции И. Зухба, старшие лейтенанты милиции Г. Гогия и Т. Сигуа, госавтоинспектор старший лейтенант милиции Г. Гвинджилия, начальник отделения уголовного розыска старший лейтенант милиции М. Рапава и другие. Люди в милицейской форме во многих случаях, рискуя жизнью, выводили людей и выносили имущество в безопасное место, делали все от них зависящее для скорейшей ликвидации последствий стихийного бедствия.**

მოწინავე გამოცდილება

# ექსპერიმენტი მოქმედებს

**დამნაშავეობის** წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი წესრიგის, მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და სრულყოფისათვის, მიმდინარე წლის თებერვლიდან თბილისში ექსპერიმენტის სახით გაერთიანდნენ საპატრულო-საგუშაგო სამსახური და სახავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეული ქვეგანაყოფი. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ახალმა მეთოდმა უთუოდ გაამართლა. ამის დამადასტურებელია ოპერატიული მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება — განვლილ 7 თვეში, გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით ქუჩაში მომხდარი დანაშაულობანი შემცირდა 1,4 პროცენტით, ხულიგნობა 13,6 პროცენტით, ავტომანქანების გატაცება 15,7 პროცენტით. გააქტიურდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლა — გამოვლინდა 7,9-ჯერ მეტი მთვრალი მძღოლი ვიდრე გასულ წელს და 8698 დამრღვევი. გაუმჯობესდა საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაობა მთვრალი მოქალაქეებისა და წვრილმანი ხულიგნების გამოვლენის საქმეში.

ექსპერიმენტის აღნიშნულ წარმატებებთან ერთად თავი იჩინა ნეგატიურმა მომენტებმაც: გაერთიანებული სამსახურების საქმიანობის ამ მოკლე დროის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ექსპერიმენტი ცალმხრივად ვითარდება — თუ საპატრულო-საგუშაგო სამსახურმა ავტოინსპექციის ხაზით გარკვეულ დონეს მიაღწია, ამას ვერ ვიტყვით საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეულ ქვეგანაყოფზე, რომლის საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში ნაკლებშესამჩნევია. უარყოფითად იმოქმედა ამ სამსახურში ყოველდღიური ინსტრუქტაჟის გაუქმებამ, რის შედეგადაც მარშრუტზე გასვლის წინ თანამშრომელთა წინაშე პრაქტიკულად არ ისახება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ქუჩის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა სამსახურებისაგან განსხვავებით ცალკეული ქვეგანაყოფის თანამშრომლები არც მორიგეობის წინ და არც შემდეგ რაიგანყოფილებაში არ ცხადდებიან. არ არის შემოღებული საგუშაგო უწყებათა ერთიანი ჟურნალები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად არასაუწყებო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს საპატრულო დანაყოფთა საქმიანობას, ჯერ კიდევ ყოველთვის არ ხერხდება მათი ერთობლივი, კომპლექსური მოქმედება საპატრულო-საგუშაგო სამსახურთან.

მთლიანად ექსპერიმენტი ამართლებს თავის დანიშნულებას, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით, რეკომენდაცია მისცა აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოების ხელმძღვანელობას თავის სამსახურებში გამოიყენოს თბილისელთა გამოცდილება.

**რედაქციისაგან: მოქმედი ექსპერიმენტის ანალიზმა დაგვანახა მისი დადებითი მხარეები, მაგრამ როგორც ცნობილია ახალწამოწყებულ საქმეს ყოველთვის თან ახლავს პრობლემებიც. ექსპერიმენტის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭიროა საქმისადმი სერიოზული და შემოქმედებითი მიდგომა.**

**რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელები და რიგითი თანამშრომლები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ექსპერიმენტის შემდგომ სრულყოფას. ჩვენი გაზეთი კი ამ წინადადებებს მკითხველსაც გააცნობს.**

# ენგურჰესის კაშხალთან

**ენგურჰესის** მშენებლობის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოწინავეთა შორის არიან შს განყოფილების თანამშრომლები აზორ ნადარაია და ზურაბ ბეჭვაია.

სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, კომუნისტი ა. ნადარაია 1970 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. ამ ხნის მანძილზე მან არაერთი დამნაშავე ამხილა. ახლახან მან რამოდენიმე საათში დააკავა ენგურჰესის მშენებლობის უფროსის მოადგილის სახელმწიფო მანქანის გამტაცებელი, რომელიც აღმოჩნდა წალენჯიხის საშუალო სკოლის პედაგოგი მ. ხულორდავა. მან დააკავა აგრეთვე 6-ჯერ ნასამართლევი, ბოლოს მკვლელობაზე გასამართლებული ა. ანტონინი, რომელმაც დანით დაჭრა მოქალაქე ი. მაიკოვი. გამოუსწორებელ ბოროტმოქმედს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.



სოცსაკუთრების დიტაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, კომუნისტი ზ. ბეჭვაია 1982 წლიდან მუშაობს ამ განყოფილებაში. დამთავრებული აქვს დნეპროპეტროვსკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი, მუშაობდა ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე. მშენებლობის დამთავრების შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის შუამდგომლობით იგზავნება მილიციაში სამუშაოდ. მიღებული აქვს სამკერდე ნიშანი — „უმწიკვლო სამსახურისათვის". მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე მან გამოავლინა სახელმწიფო ქონების დამტაცებელი — 6; სპეკულიანტი — 4; მომხმარებლის მომტყუებელი — 9; მის მიერ იყო დაკავებული და პასუხისგებაში მიეცა „სპეცჰიდროელექტრომონტაჟის" მეკუჭნავე, რომელმაც ლიტაცა დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხა.

**გ. მგალობლიშვილი.**

**სურათზე: ა. ნადარაია და ზ. ბეჭვაია ენგურჰესის კაშხალთან.**

**ავტორის ფოტო.**

# ТОЛЬКО ФАКТЫ

**◆ 6 АВГУСТА в с. Атени трое неустановленных преступников обманным путем усадили в автомашину Т. В., домохозяйку и, вывезя ее на окраину села, под угрозой насилия потребовали 10000 руб., но, получив отказ, нанесли ей побои и скрылись. Принятыми мерами «по горячим следам» сотрудниками Горийского РОВД задержаны Г. К. и Т. А., ранее трижды судимый. Принимаются меры по установлению и задержанию третьего соучастника.**

**◆ 9 АВГУСТА на ул. Пушкина № 7 в подъезде здания Всесоюзного объединения «Интуристремстрой» двое неустановленных преступников у бухгалтера указанного объединения Л. Ч. вырвали из рук сумку с 69000 рублями, предназначенными для раздачи зарплаты работникам этого объединения. Принятыми мерами «по горячим следам» сотрудниками Кировского РОВД совместно с милиционерами подразделения ППС и ОБ ДПС ГАИ УВД г. Тбилиси один из преступников задержан. Им оказался П. Х., ранее судимый. Награбленное изъято.**

— АНАЛИЗИРУЕМ ИТОГИ ПОЛУГОДИЯ —

# Критически оценивая проделанную работу

**УСПЕШНОЕ** выполнение решений XIX Всесоюзной партийной конференции, июльского (1988 г.) Пленума ЦК КПСС требует от всех сотрудников органов внутренних дел повышения эффективности оперативно-служебной деятельности.

Анализируя итоги первого полугодия 1988 г., мы понимаем, что сделано пока еще далеко не все, для того, чтобы работа нашего отдела соответствовала все возрастающим требованиям дня. В первую очередь, следует отметить, что все еще не ведется решительная борьба с пьянством и алкоголизмом, наркоманией, преступлениями против личности, хулиганством, тунеядством и другими негативными явлениями.

Много недостатков и в профилактике правонарушений. В результате проведенных профилактических мероприятий, хищения госимущества в первом полугодии сократились на 8 единиц, по сравнению с аналогичным периодом прошлого года, личного — на 5 единиц. Однако все еще имеют место факты хищений госимущества, хозяйственных преступлений. Особенно это касается сельскохозяйственных объектов, в частности, в Чхортольском колхозе, где профилактические мероприятия все еще не дали желаемых результатов. Сложная оперативная обстановка сложилась на объектах Агропрома, торговли, строительства. За 6 месяцев отделением старшего оперуполномоченного БХСС майора милиции З. Дзадзуа выявлено 63 правонарушения. Все это говорит о необходимости более тесного контакта сотрудников РОВД с трудовыми коллективами хозяйств, проявления большей принципиальности и боевитости в борьбе с негативными явлениями.

В течение первой половины нынешнего года, по сравнению с тем же периодом прошлого, количество преступлений по линии уголовного розыска сократилось на 4 единицы, но в то же время общее число преступлений возросло на 11 единиц, большинство из которых приходится на управление автотранспортом в нетрезвом состоянии и злостные уклонения от воинской службы. Возросло и число таких тяжких преступлений, как умышленные убийства, грабежи, бандитские нападения и т. д.

Больше всего нас тревожит тот факт, что работа отделения УР недостаточно планомерна и эффективна, носит эпизодический характер, в результате чего в отделении имеется 6 нераскрытых преступлений. Неудовлетворительно ведется и борьба с наркоманией. По этой линии работа поручена старшему оперуполномоченному отделения УР капитану милиции Г. Багишвили, которому необходимо сделать соответствующие выводы, повысить эффективность своей работы.

В последнее время более целенаправленной стала работа участковых инспекторов милиции. В течение 6 месяцев ими было выявлено 230 неработающих, из них 219 тунеядцев, устроено на работу 157 человек и один привлечен к уголовной ответственности.

Определенные успехи достигнуты по выполнению антиалкогольного законодательства — выявлено 232 нарушителя, в отношении которых приняты соответствующие меры. Активизировалась борьба с нетрудовыми доходами — за шесть месяцев участковыми инспекторами выявлено 40 подобных фактов. Однако, несмотря на достигнутые в целом неплохие результаты, в работе участковых инспекторов есть еще немало недостатков, о чем свидетельствует и имевший место в нынешнем году факт изнасилования и убийства в с. Набакеви.

Несмотря на усилия сотрудников госавтоинспекции, все еще сложным остается положение на дорогах района.

С учетом указанных и других имеющихся недостатков, критики, высказанной в адрес работы отдела в одном из июньских номеров газеты «Правда», и ведет в настоящее время работу наш коллектив. Руководству РОВД все активнее помогают политработники, партийная и комсомольская организации отдела. Укрепляются связи с общественностью — организуются встречи, отчеты молодых сотрудников перед рекомендовавшими их на работу в ОВД трудовыми коллективами. В перестройке партийно-политической работы большую роль играет практика утверждения партийных характеристик. Регулярное проведение аттестаций сотрудников позволяет лучше решать кадровые вопросы.

Есть у нашего отдела и ряд объективных трудностей, связанных, в частности, с обеспеченностью техническими средствами, транспортом. Так, например, в отделе нет даже автомобиля для перевозки задержанных. Однако несмотря на имеющиеся трудности, коллектив нашего отдела полон решимости работать более самоотверженно и целеустремленно, искоренить имеющиеся недостатки, создать населению района условия для нормальной работы, внести тем самым свой вклад во всенародное дело перестройки.

**В. БИБЛАЯ,**
**майор милиции, начальник Гальского РОВД.**

# დამსახურებული ჯილდო



რიგითი მილიციელი, კომკავშირელი, ვახტანგ კუბლაშვილი შს ორგანოებში 1987 წელს მოვიდა, კომკავშირის ქუთაისის ავტოქარხნის რაიკომის რეკომენდაციით. თავდაპირველად იგი შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვეგანაყოფის მილიციელად მუშაობდა. 1988 წლიდან კი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უმცროს ინსპექტორად გადაიყვანეს. იმ ხნის მანძილზე მან მოიპოვა ენერგიული, დისციპლინირებული, გაბედული მილიციელის სახელი.

სულ ახლახან სასიხარულო ცნობა მოვიდა შს სამმართველოში: ავღანეთის სახალხო რესპუბლიკაში ინტერნაციონალური ვალის მოხდის პერიოდში გამოჩენილი მამაცობისათვის ვ. კუბლაშვილი დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

**КАЖДЫЙ год в середине августа в нашей стране отмечается День физкультурника. По традиции в этот день все стадионы, спортивные базы, комплексы и площадки нашей страны заполняют любители спорта — сторонники активного здорового отдыха. Массовое физкультурное движение в нашей стране имеет давние и славные традиции. Среди многочисленных спортивных обществ, объединяющих миллионы советских людей, одним из наиболее популярных является спортобщество «Динамо», под флагом которого выступали многие известные мастера — победители Олимпийских игр, чемпионатов мира и Европы, первенств СССР. Внесли свой весомый вклад в развитие физкультуры и спорта и динамовцы нашей республики — олимпийские чемпионы В. Санеев, Р. Шавлаквадзе, Н. Асатиани, М. Джугели, Р. Чимишкян, В. Благидзе, Ш. Хабарели, Р. Харшиладзе и многие другие.**

**А как обстоит дело с развитием физкультуры и спорта в системе МВД ГССР в настоящее время? Об этом мы попросили рассказать начальника отдела физподготовки и спорта министерства старшего лейтенанта внутренней службы И. Барского.**

13 АВГУСТА — ДЕНЬ ФИЗКУЛЬТУРНИКА

# ЗАЛОГ УСПЕХА— В МАССОВОСТИ



К сожалению, в последние годы в данной работе наметился ряд серьезных проблем, требующих своевременного решения. Несмотря на принимаемые меры, физическая подготовленность значительной части сотрудников ОВД республики все еще не отвечает предъявляемым требованиям. В результате имеют место факты, когда работники милиции при задержании правонарушителей оказываются не готовы к прямому физическому единоборству, что ведет к неоправданному травматизму, а порой и к гибели.

Неблагополучно обстоит дело с организацией физподготовки на местах. Так, из проверенных в прошлом году 47 органов и подразделений 6 получили неудовлетворительную оценку по организации спортивно-массовой работы, остальные были оценены на удовлетворительно.

Анализ результатов проверок показывает, что большинство сотрудников ОВД не могут выполнить установленные нормативы по кроссу на 1000 метров, неудовлетворительно владеют приемами боевого раздела самбо, не знают условий выполнения упражнений по стрельбе из табельного оружия, неумело обращаются с ним, не соблюдая при этом правил безопасности. Эти и другие недостатки являются прямым следствием недооценки значения физкультурно-спортивной работы со стороны руководителей ГОРОВД и отраслевых служб аппарата министерства.

**В чем причина наметившегося в столь важном деле отставания?**

Их несколько, но основными, пожалуй, являются две — отсутствие массовости в занятиях спортом и крайне недостаточная материально-техническая база. Так, из-за низкой исполнительской дисциплины остаются не выполненными требования соответствующего приказа МВД СССР, обязывающего организации самостоятельно строить и оснащать простейшие сооружения—полосы препятствий, залы, стрелковые тиры, создавать тренажеры. Только в 11 ГОРОВД имеются относительно оснащенные места для проведения занятий. В республике нет ни одного стрельбища, где можно было бы организовать проведение соревнований по полной программе, включая стрельбу из автомата. Крайне низка роль в организации процесса физподготовки общественных инструкторов.

Из года в год крайне мало участвует в сборных командах республики сотрудников из органов и подразделений МВД Абхазской и Аджарской АССР, УВД Юго-Осетии, Руставского ГОВД. В ряде команд по видам спорта, наряду с перечисленными органами, нет ни одного представителя УВД г. Кутаиси, Горийского, Ткибульского, Чиатурского и других горрайлинорганов.

Все это снижает спортивные результаты. Так, в прошлом году на чемпионате МВД СССР сборные команды ОВД республики по пожарно-прикладному спорту и стрельбе из боевого оружия заняли соответственно 9 и 8 места. Не лучше положение в других видах служебно-прикладного спорта.

**Что нужно сделать для устранения имеющихся недостатков, совершенствования в системе министерства физкультурно-массовой работы?**

В плане улучшения материально-технической базы необходимо строительство в ГОРОВД на местах спортсооружений, как это сделано, например, в Дманисском РОВД. Необходимо также создать на местах секции по прикладным видам спорта, непрерывно совершенствовать учебно-тренировочный процесс. Большую роль в решении этих задач может сыграть личное участие руководителей подразделений в организации и проведении занятий по физподготовке, приеме нормативов и т. д.

Систематически необходимо проводить соревнования — ведь они, как никакая другая форма контрольных проверок, дают реальную картину готовности личного состава к выполнению тех или иных оперативно-служебных задач, рельефно отображают недостатки в подготовке сотрудников.

Только за последнее время отделом проведен ряд крупных мероприятий — соревнования по мини-футболу, волейболу, стрельбе в рамках Спартакиады ЦА МВД ГССР, с 5 по 9 августа проведена неделя пловца, в августе состоятся также чемпионат по стрельбе из боевого оружия и турнир по автомногоборью. Сегодня, в День физкультурника, состоится ряд интересных мероприятий, в том числе, товарищеская встреча с представителями КГБ СССР сразу по нескольким видам спорта.

Все соревнования, их открытия и закрытия, награждения победителей мы стремимся проводить в праздничной, торжественной атмосфере, что также способствует пропаганде физкультуры и спорта.

Предпринимаемые усилия уже дают определенные положительные результаты — если раньше в чемпионатах МВД ГССР соревновались 8-10 коллективов, то сейчас на участие в чемпионате по стрельбе, который проходит в эти дни в Сухуми, подано 18 заявок, в том числе и от таких сравнительно небольших подразделений как Цаленджихский, Цалкский РОВД и других. Мы понимаем, что это только начало предстоящей большой работы, и постараемся сделать все возможное для того, чтобы занятия физподготовкой и спортом приняли в системе министерства по-настоящему массовый характер.

**Беседу вел А. ЦАТУРОВ.**

---

1988 — არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა შემცირების წელი!

# ზრუნვა შედეგს გამოიღებს

**მიმდინარე** წლის 6 თვის მაჩვენებლებით ჩვენს რესპუბლიკაში შეიმჩნევა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის კლება, ფიქსირებულია 197 დანაშაული, რაც 47 შემთხვევით, ანუ 19,3 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ოპერატიული მდგომარეობა გაუმჯობესდა 54 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის 30-ში არ მომხდარა არც ერთი დანაშაული, 12 რაიონში აღნიშნულია სტაბილური მდგომარეობა...

ზემოთმოყვანილი ციფრები ოფიციალური მონაცემებიდან ავიღეთ. ეს ყველაფერი კი იმ ქმედით ღონისძიებებზე მეტყველებს, რომელსაც რესპუბლიკის შს სამინისტრო და მისი შესაბამისი განყოფილება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირებისთვის ახორციელებს. მართალია მთელ რიგ რაიონებში მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ საერთო სურათი ნათელია, ამ პრობლემის გადასაჭრელად — მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული. ამას ისიც ადასტურებს, რომ საკავშირო მასშტაბით ჩვენი რესპუბლიკა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის კლების მხრივ მიმდინარე წლის 6 თვის მაჩვენებლებით პირველ ადგილზეა.

ძნელადაღსაზრდელი... რამდენი პრობლემა, ფიქრი და საზრუნავია ამ ერთ სიტყვაში ჩაქსოვილი. როგორი სიფრთხილე და ჰუმანური მოპყრობაა მათ მიმართ საჭირო, ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ და თითოეული მათგანის სწორ და საქმიან გზაზე დაყენება უპირველესი ამოცანაა.

იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელსაც რესპუბლიკის შს სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების პროფილაქტიკისათვის ახორციელებს ერთ-ერთია, ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა შს სამინისტროს სისტემის კოჯრის პიონერთა ბანაკში გაგზავნა.

საინტერესო და შინაარსიანია პიონერული ზაფხული. ერთმანეთს ცვლიან ხალისიანი დღეები, შეხვედრები, საღამოები და ეს დაუვიწყარი იქნება თითოეულისთვის — შს ორგანოების თანამშრომელთა ბავშვებისთვის და ძნელადაღსაზრდელთათვის. დიახ, ისინი ერთად ისვენებენ და სწორედ ამაშია ამ აქციის ძირითადი აზრი.

კიდევ ერთი — ამ ბანაკის ყოველი პიონერული რაზმის ხელმძღვანელი ძნელადაღსაზრდელი ბავშვია.

იმ დღესაც საინტერესო შეხვედრის მოლოდინში საზეიმოდ მოერთოდ პიონერებს ბანაკის კლუბი. ბავშვები ჩვენს სახელოვან ვეტერან ფეხბურთელებს ელოდნენ. და აი გამოჩნდნენ ქართული ფეხბურთის ოსტატები: სერგო კოტრიკაძე და გივი ჩოხელი. შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა. სახელოვანმა ფეხბურთელებმა ბავშვებს მოუთხრეს განვლილ დაუვიწყარ სპორტულ გზაზე, უპასუხეს მრავალრიცხოვან შეკითხვებს. სამახსოვროდ გადასცეს თბილისის „დინამოს" ახლანდელი თაობისა და ვეტერანების ავტოგრაფებიანი ფეხბურთის ბურთი. დაისახა მომავალი შეხვედრების გეგმაც. ერთ-ერთი ასეთი თბილისის დინამოელთა ერთ-ერთ საწვრთნელი ვარჯიშზე დასწრება იქნება.

...ყველაფერი ეს შეხვედრის ოფიციალური მხარე იყო. სხვა საკითხია ის დადებითი ემოციები, რომლებსაც ასეთი შეხვედრები იწვევენ და არ შეიძლება ასეთმა და ამდაგვარმა ღონისძიებებმა დადებითი, სასიკეთო შედეგი არ მოგვცეს.

— თქვენ წარმოიდგინეთ ძნელადაღსაზრდელთა 90 პროცენტმა მეორე ნაკადზე დარჩენა მოითხოვეს — — ეს სიტყვები ბანაკის დირექტორს ი. მიქაძეს ეკუთვნის და ჩვენც გვჯერა ასეც იქნებოდა. გვჯერა, რომ ზრუნვა შედეგს გამოიღებს.

**ზ. გომართელი**



**სურათზე:** ს. კოტრიკაძე და გ. ჩოხელი სამახსოვრო ავტოგრაფებს უტოვებენ ბანაკის დამსვენებლებს. გ. მგალობლიშვილის ფოტო.

---

# ვიცნობთ საკუთარ ისტორიას?

**თბილისის** შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა დაცვის ცალკეულ ქვეგანაყოფში ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების პირველადი რგოლი, რომელშიც ყველა თანამშრომელი გაერთიანდა. საზოგადოების პრეზიდიუმმა ახალ წევრებს გადასცა საწევრო წიგნაკები. ამით კიდევ ერთხელ გამოიხატა მილიციის მუშაკთა სურვილი — რაც შეიძლება კარგად გაეცნონ საკუთარი ერის ისტორიას. გამოითქვა აზრი: მოეწყოს ლექცია-საუბრები ისტორიის საკითხებზე, გაცნობა-დათვალიერება საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და სხვა. ქვეგანაყოფის თანამშრომლებმა დიდ პატივად აღიქვეს აღნიშნულ საზოგადოებაში გაერთიანება, რამეთუ იგი ჯერ კიდევ 1907 წელს დაუარსებია ცნობილ ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს და წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი საერო საქმის სამსახურში დგას.

საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის ინიციატივითა და უშუალოდ ამ საზოგადოების სწავლული მდივნის ვ. გიორგაძის მეთაურობით მოეწყო ექსკურსია-ლაშქრობა კასპის რაიონში არსებულ რკონის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად და გასაცნობათ. რატომ შეჩერდა ყურადღება დასახელებულ ძეგლზე გასაგები იქნება, თუ ვიტყვი იმას, რომ რკონი არის მეშვიდე საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუში, სადაც შემორჩენილია ძველი ფრესკული ხელოვნების ფრაგმენტები. კომპლექსი აერთიანებს საკულტო, საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობებს. იქვე არის შუა საუკუნეების ხიდების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში საქართველოში — რკონის ერთმალიანი, თაღოვანი ხიდი, რომელიც დღემდე პირვანდელი სახით შემორჩა.

მილიციის თანამშრომლებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საისტორიო საზოგადოების უფროსი ლაბორანტის ზ. განგებლის მიერ ადგილზე წაკითხული ლექცია თემაზე: „რკონის სამონასტრო კომპლექსი და მისი ისტორიული მნიშვნელობა".

**ზ. მელიქიძე**

## ОБЪЯВЛЕНИЕ

**В соответствии с указанием ФПУ МВД СССР за № 17/10-502 от 2 июня 1988 года, с 1 августа 1988 года будет проводиться перерегистрация пенсионеров МВД ГССР — участников Великой Отечественной войны.**

**ФПО МВД ГССР просит всех пенсионеров МВД, имеющих удостоверение участника Великой Отечественной войны, выслать его в адрес ФПО МВД ГССР для соответствующей отметки.**

**Пенсионеры, проживающие в районах, удостоверения могут переслать через соответствующие горрайотделы внутренних дел по месту жительства.**

**Срок перерегистрации установлен до 31 декабря 1988 года.**

**Удостоверения участников войны, в которых не будет проставлен указанный штамп о перерегистрации, с 1 января 1989 года будут считаться недействительными.**

**ФПО МВД ГССР**

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსმა. ხოშარაულის 29. უე — 00309